



«სხვა საქართველო ამ არის!..»

„როცა სამუშაო ასე უძრავა, რა დაბადებულნი ვართ...“

30 წლის უნახავ სამუშაო უპოვლობით ჩაბრუნდნის პარტიულ უპოვობაზე დაბრუნება არ უნდა



მებისან ან ტელევიზორს გადართავს, ან სმას დაუწევს, რომ სასურველი გადაცემის, ან ფილმის ყურებით მიღებული განცდა და ემოცია არ წაეშალოს.

ემიგრაცია გასართობი თემა ნამდვილად არ არის და ჩვენ ამ საქმის გაკეთებაში მხოლოდ უფლის ნება, ჩვენი მოქალაქეობრივი განცდა და ქვეყნისადმი სიყვარული გვაძლევს სტიმულს. მხოლოდ ის გვაძლავს ნებს, რომ ვიღაცას ვჭირდებით და ჩვენც სიამოვნებას ვიღებთ ჩვენი გაკეთებული საქმის შედეგანობით. როცა გვირეკავენ და თვალცრემლიანი, გულაწყვეტილი ქართველები მადლობის სიტყვებს არი შუბრებზე და გვეუბნებიან, რაოდენ დიდ საქმეს მოვიკიდეთ ხელი, ჩვენც სიხარულით ვივსებით. ამიტომ ამ პროექტს კომერციული დატვირთვა ნამდვილად არა აქვს. მაგრამ მისი არსებობისათვის სახელფასო ფონდი მაინცაა საჭირო. თუ ჩვენი თანამემამულეები ამაში დაგვეხმარებიან, იმაზე მეტად მაშუღიშვილურ საქმეს შეუწყობენ ხელს, ვიდრე ის, რაშიც ისინი სიამოვნებით სარგავდნენ გარკვეულ თანხებს. ეს კი მათ სულიერ განწყობასაც უკფრო ამაღლებულს გახდის, უეჭველად.

აქვე კიდევ ერთხელ მინდა მადლობა გადავუხადო გაზეთ „რეზონანსის“ გაერთიანებული რედაქციის მთავარ რედაქტორს ზურაბ მაჭარაძეს, საპატრიარქოს რადიო „ივერიას“ ხელმძღვანელობას, საინფორმაციო ტექნოლოგიების კომპანია „ჯეკომს“ და მის ხელმძღვანელებს მიხეილ კეკუასა და გიორგი წულაძეს. ასევე უცხოეთში მცხოვრებ ქართველებს, რომლებმაც უზრუნველყვეს თავიანთი მცირედი შემოწირულობით ამ პროექტის არსებობა. მოგვხსენებათ, ჩვენი ემიგრაცია არაერთგვაროვანია. დღევანდელ ნომერშიც თქვენ წაიკითხავთ განსხვავებულ მოსაზრებებს.

საქართველოდან ოცნებობს, ზოგს კი სამშობლოში დაბრუნება შორეულ პერსპექტივად ექცა. ყველა მათგანის განცდა და მისწრაფება ჩვენთვის გასაგებია და საგულისხმოა. რადგან პრინციპი – სადაც ჩვენ არ ვართ, იქ კარგია, ყველასათვის მისადაგებელია. ორივე შემთხვევაში ნოსტალგიის განცდა მაინც ძლიერია, მაგრამ კიდევ უფრო მძაფრია იმათთვის, ვინც უკვე დიდი ხანია დატოვა სამშობლო, მაგრამ უცხო ქვეყანაში ადაპტაცია გაუჭირდა. სწორედ ასეთ პერიოდში დაწერა ჩემმა კოლეგამ, გერმანიის ქალაქილევფელდის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარემ, ჯიმშერ ბედიანაშვილმა ლექსი, რომლის ეს სტრიქონები „როცა სამშობლო ასე შორსაა. რა დამაძინებს ლოგინში მშვიდად?“ თავისი ლექსების კრებულს სათაურად წაუძღვარა.

დემოთმა გავაძლიეროს და გავაძლიერებინოს!

ნიკო მსოიკი

ქურნალ „ემიგრანტების“ მთავარი რედაქტორი

მართველავი უცხოეთში

ერთნი სამშობლოდან მიდიან, მეორენი კი ბრუნდებიან. თუმცა, სტატისტიკის მოშველიება არც არის საჭირო იმისათვის, რომ განსაზღვრო, რამდენად დიდია ემიგრაციის ტალღა და რა უმნიშვნელო რაოდენობა ბრუნდება უკან.

მაგრამ, საბედნიეროდ, ქართველთა დიდი ნაწილი, ვინც უცხოეთში ლეგალურად ცხოვრობს და წარმატებულად ცხოვრობს, სამშობლოსთან კავშირს არ წყვეტს. ისინი წელიწადში ერთხელ მაინც ჩამოდიან საქართველოში. მაგრამ დაბრუნება, რომლის შესახებაც ახლა მოვითხრობთ, ბევრი ასპექტით განსხვავებული და გამორჩეულია.

იგი მხოლოდ მოსწავლეობის პირველ ნაბიჯებს ეხიარა თბილისის პირველ სკოლაში და მშობლების, გიორგი კაიშაურისა და პოლონელი დედის, გალინას განქორწინების შემდეგ, სწავლის გაგრძელება ვარშავაში მოუწია, სადაც დედასთან ერთად გადასახლდა. მაგრამ თბილისთან და მამასთან ურთიერთობას ორ წელიწადში ერთხელ მაინც ასერსებდა. იგი დედას თავად ჩამოჰყავდა საქართველოში. მას შემდეგაც ახერხებდა სტუმრობას, ოფიციალურ შესვენებებზეც, როგორც ცნობილი მოჭადრაკე. მაგრამ საქართველოსთან მხოლოდ დადებითი ემოციები და მოლოვნებები შემორჩა. რადგან მზია კვირიკაშვილისაგან განსხვავებით, კონსტანტინე კაიშაურის სამშობლოში მძიმე წლები, მისი საყვარელი სკოლის ტერიტორიაზე გაჩაღებული სამოქალაქო ომი, უშუალოდ, უგაზობა და პურის გაუთავებელი რიგები, არც იუმორინას ან შლაგის ჩატარებული კონცერტები არ უნახავს. იგი მხოლოდ ტელევიზიით იგებდა ამ ამბებს და თავისებურად განიცდიდა. მიუხედავად, შეიცვალა მისი ცხოვრება, ერთნაირად აღარდება ორი სამშობლოს – საქართველოს და პოლონეთის მდგომარეობა. ამიტომაც იქედან ეხმარებოდა ქართველ ნათესავებს და კლასელებს, რომელთა ინიციატივითაც ჩამოვიდა 30 წლის უნახავ საქართველოში და ის აღფრთოვანებად, რასაც ახლა განიცდის, ამ ადამიანების დამსახურებაა.

ჩვენი შესვენდრა კი მისმა ერთერთმა კლასელებმა, პირველსკოლელებმა, კაიშაურების ნათესავებმა, სავარაუდო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო დეპარტამენტის ყოფილმა ხელმძღვანელმა მალხაზ რადიანამ მოაწყო. აქვე მას დიდი მადლობა მინდა გადავუხადო 4 წლის წინ ქურნალ „ემიგრანტებისადმი“ გაწეული მხარდაჭერისა და დღევანდელი ქომაგობისთვისაც.

კოტე კაიშაურის ცხოვრება კი საქართველოდან საქართველომდე, როგორც ავღშნიშნე, პოლონეთსა და შვედეთზე გადის.

ევროპის ერთ-ერთ უმშვენიერეს და კეთილდღეობით გამორჩეულ ქვეყანაში მას ყველაფერი აქვს იმ ურთიერთობების, განსაკუთრებული სიყვარულისა და სიბოძის გარდა, რაც აქ დასვდა. ამიტომაც ბატონი კოტე ყოველდღიურად დადებით სტრესს იღებს და საქართველოდან წასვლაც არ უნდა.

მაშ ასე, ორი კვირით სამშობლოში სტუმრად მყოფი კონსტანტინე კაიშაური თავისი დის ბინაშია და შეგუბების გარეშე უნახავს. სამწუხაროდ, იგი რუსულად კარგად საუბრობს. ქართული ლაპარაკი კი გადამაინტერესებდა, მაინც სცადა კი მორჩენილი მარაგი გამოეყენებინა და ერთადერთი წინადადება, რაც გამართულად და ქართული აქცენტით თქვა, ეს იყო: „რომოდღა რვა წლის შემდეგ პოლონეთში წავიდე, პოლონური ვისწავლე, მაგრამ ქართული სულ დამავიწყდა!“ მოგონებებიდან დღევანდელ ემოციამდე საუბარი ასე დაიწყო:

კონსტანტინე კაიშაური: მე თბილისში დაბრუნდე 1952 წელს. სამოც წლამდე ვცხოვრობდი აქ. ჩემი მშობლების განქორწინების შემდეგ, დედასთან ერთად წავიდე პოლონეთში. იქ ვიცხოვრეთ 10 წელი. შემდეგ მე და დედა შვედეთში, სტოკჰოლმში გადავიდეთ საცხოვრებლად. დღემდე იქ ვცხოვრობ.

– რაც შემდგომ ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში, გახლავთ ის, რომ ადრეული ასაკიდან დავეუფლე ჭადრაკის თამაშს. პოლონეთში გადასვლის შემდეგ კი კლუბშიც დავიწყე თამაში. გამომდიოდა... (იცინის)

– ძალიან თავმდაბლურად ჟღერს... (იცინის) ასე, რომ სტოკჰოლმში გამგზავრებამდე საკმაოდ სერიოზული ტურნირი მოვიგე იუნიორთა შორის. შემდეგ შვედეთში მოვიგე ასეთივე ჩემპიონატში და მსოფლიო ჩემპიონატზე შვედეთის სახელი ვიცავდი. ევროპის ჩემპიონატზე 3-4 ადგილები ავიღე. შემდეგ მრავალი წელი გამოვიდიოდი შვედეთის სახელით.

ამ პერიოდში საქართველოსთან კონტაქტი არ გამიწყვეტია. მაგრამ, ინტერვალები იყო. პოლონეთიდან დედასთან ერთად თუ უფროსშირად ჩამოვიდიოდი მამის და ნათესავების სანახავად. შვედეთიდან 10 წელი ვყოფივარ ჩამოსვლა და ეს იყო დიდი პერიოდი ჩემთვის. 1977 წელს ვინახულე აქ მამა, ვიყავი ჩამოსული როგორც შვედეთის წარმომადგენელი გოგონის მემორიალზე. ეს იყო გასურული დღე და სასწაული ჩემთვის. დიდი სულიერი და ემოციური სტრესი მივიღე. ვიგრძენი, რომ სახლში დაბრუნდი. აქ დავიხსენე თვენახევარი და ჩემს დასთან და მის ქალიშვილთან ერთად ვცხოვრობდი.



მზია კვირიკაშვილი: ჯერ არ ნამსულგარ და ნოსტალგია უკვე მანუსებს

მასკლუზიზმი

წინა ნომერში გაუწყეთ, რომ ქართული ესტრადის ცნობილი მსახიობი „სიცილის დედოფალი“ მზია კვირიკაშვილი ტოვებს სა-ქართველოს პრესის საშუალებით გავერცხვებულ ამ ინფორმაციაში საზგასმული იყო ის ფაქტი, რომ იგი სამუდამოდ ემშვიდობება ქართველ მაყურებელს. ცოტა არ იყოს, არასასიამოვნო განწყობა შეგვიქმნა ამ ფრანგმა და გადაწყვეტილებით თავად ვწვევდით ქალბატონ მზიას, რათა უკეთ გავერცხვებოდით, მართლა სამუდამოდ გვეტოვებდა თუ არა. აღმოჩნდა, რომ ჩვენმა კოლეგებმა, როგორც სდება-ბოლო, როგორც ბოლო წლებში მანძილზე ასე შეიყვარა ქართველმა მაყურებელმა, იძულებით უწევს სამშობლოს დატოვება. მართალია, მზია კვირიკაშვილი თავს იმით იმშვიდებს, რომ იგი არალეგალი ემიგრანტების მსგავსად, სამშობლოში მიმოსვლის საშუალებას მოკლებული არ იქნება და ქართველ მაყურებელთანაც შეხვედრის იმედს იტოვებს, მაგრამ ნოსტალგია უკვე განიცდის, როგორც ყველა ემიგრანტი, ვინც დიდი ხნით ტოვებს სამშობლოს.

ისე, ისიც არაერთხელ გვითქვამს, რომ სამშობლოდან წასული ქართველები მუდამ შინ დაბრუნებაზე ფიქრობდნენ და წინასწარ ვერც კი წარმოედგინათ, თუ სხვის მიწა-წყალზე დამკვიდრდებიან. ბევრისათვის სამშობლოში დაბრუნება ხომ განუყოფელი ბუნებრივი მოთხოვნაა. მაგრამ ახლა სხვა დროა და მზია კვირიკაშვილიც, იმი-ედით, ასეთი მომავალი ვერ მოსდის.

ჩვენი შეხვედრა გლდანის ერთ-ერთ მიკრორაიონში მდებარე მისი ბინაში შედგა. ქალბატონმა მზიამ რომ გაიგო, რა თემაზე ვმუშაობ, პირველივე მომენტში უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების ყოფის შესახებ გამოთქვა წუხილი და მათთან შეხვედრებიც გაისინა.

მზია კვირიკაშვილი: არაერთხელ ვყოფილვარ საზღვარგარეთ და, სამწუხაროდ, მინახავს ჩვენი ქართველები. ისეთი გულსტიკივითი წამოვდილი იქიდან, ვიფიქრე, ნუღა ეს ქვეყანა სულ არ მენახა, რომ არ მენახა, ჩვენი ქართველები რა დღეში არიან-მეთქი. ვერ ვიტყვი, რომ ისინი აქ მუშაობენ. უფრო მეტად მონები არიან. აბა სხვა რა უნდა უწოდო მოსუცის და ბავშვის მომვლელს, ან სახლის დამლაგებელს. მითუმეტეს, რეცა იცი, რომ ეს ქალები პროფესიით ექიმები, პედაგოგები, ინჟინრები, ან თუნდაც ურბანისტიები არიან. იმდენი ნაცნობი ვნახე იქ, არ

მინდა ახლა დავაკონკრეტო. როგორ სასიამოვნოდ დადგები ქალი რომ გეტყვიან: მე აქ სხვის დედას ვუვლი და ჩემი დედა იქ მიკვდებო. ამერიკაში ჩემი შვილის ტოლა ბიჭი შემხვდა, სუსიშვილების ყოფილი მოცეკვავე, ჩამეხუტა, იტირა და მთხოვა, ერთი მოუჭა ქართული მიწა ხომ არ წამოვიღია, რომ მომცეო. არ არის ეს გულგამემირავი ამბავი? მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ გაუძარ-თლა იმას, ვინც მოსუცის მოსავლელად, თუ სახლის დამლაგებლად დასაქმება მინაც მოახერხა. მოგესხებათ, კაცებს უფრო უჭირთ დასაქმება. ისინი ხომ ვერც უფლიან მოსუცის და ბავშვებს და ვერ ბინებს ალაგებენ. მხოლოდ მშენებლობებზე და ტაქსის მძღოლებად თუ საქმდებიან. ეს სამუშაო კი ყველა ქვეყანაში არ არის და კაცებზე მოთხოვნილებაც, ამ მხრივ, იმეფათა. ამის გამო, უმეტესობა გაბოროტებულია, დღემდე რომ ვერ აწყობილა. თუ მუშაობ, ეს უკვე გამართლებია.

—რა თქმა უნდა, იქ თვითმფრინავის ტრაპიდან ჩასვლისთანავე გრძობ, რომ უცხო სამყაროში ხარ და სული უნდა გაანაძრიო, რომ საკუთარი თავიც იჩინო და შინ დარჩენილი ოჯახის წევრებიც.

—აბა, ბინის ქირაც უნდა იხადო და ჭამაც გინდა. აქეთაც ხომ ავზავნიან. ზოგი 2-3 ოჯახს უვლის საქართველოში და მე ეს მონოლოგიც კი მქონდა, მაგრამ მაინც მტკივნეულად ჩემი აზრით, ეს ყველასთვის მტკივნეული საკითხია. ყველა ქართველისთვის უნდა იყოს ალბათ. გარდა ამისა, იცით თქვენ, რომ არის ქვეყნები, სადაც ანაზღაურება მეტ-ნაკლებად მაღალია. მაგრამ ყველაზე მძიმე სიტუაცია მაინც საბერძნეთში ჩავედი. ეს არასოდეს არ დამავიწყდება. იქ ძალიან ცოტას უხდიან და პირობებიც უფრო რთულია. ისე დამეხსვა, რომ პირველად თქვამდნენ ჩემი ჩავედი და ორი თვის შემდეგ ისევ რომ შეგვხვდი იმ ხალხს, გინდ დაიჯერებო, გინდ არა, ვერ ვიცანი, ისეთი შეცვლილები იყვნენ.

—მჯერა, სამჯერ ვარ ნამყოფი ათენში და მეც მინახავს ომონიაზე შეკრებილი ქართველების შეწუნებული სახეები, თუ უსიამოვნო დიალოგები.

—ისეთი მოტყეილები და გაუბედურებულები იყვნენ, ვკითხე, რა გჭირთ, ხალხო, რითუ ასე რთულია აქ მუშაობა-მეთქი. სირთულეს გარდა, რამდენს ნერვიულობენ. ვანიციდინ. ზოგს შვილი ენაბრუნება. ორი წლის დატოვა და უკვე 8 წლისაა. ზოგი მეტიცაა. ამიტომ უმრავლესობა, როგორც ვაგივე, დაავადებულია ნერვოზით, უმრავლესობა ჩივიდა აქვს და ერთს სიმძინეც აღმოაჩნდა. ეს „კარგი ცხოვრების“ შედეგია, ეტყობა... სიტუაციები არ მყოფნის, ამის გადმოსაცემად ეს არის ცვენი ერის და ქვეყნის ტრა-

გედია, მე ასე ვიტყვი. რომ ამბობენ, უი რა კარგია, ის ამერიკაშია, ის ესპანეთშია, ეს საბერძნეთშია. მე ამას კარგს ვერაფერს ვხედავ. კარგი მამონაა, როცა ადამიანი ამ ქვეყნებში დასაფლავებულია და მიდის, ან სასწავლებლად და არა წლებზე ფეხების დასადგამად.

—მაგრამ ამ წასვლის მიზეზი სად უნდა ვეძებოთ, თუ არა ისევ აქ. მათ ხომ არ სურთ, უცხო ქვეყანაში მონებდ წავიდნენ და ამაში დიდძალი ფულიც გადაიხადონ. ეს ხომ იძულებია?

—რა თქმა უნდა, ასეა. აბა ვის უნდა სიამოვნებით მონობა, ხომ ვერ მტყვი? —**მაგრამ ბოლო დროს სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა ემიგრაციის თემას და ხელისუფლებამ, მთავრობამ პრეზიდენტის კამპანიაში, რომ მათ ემიგრანტების დაბრუნება აქეთ გვგმაში. თუმცა, ჯერ გაურკვეველია, როგორ და რა ტიპებით უნდა მოხდეს ეს.**

—მაგას რა ჯობია, თუ მოხერხდება. მაგრამ ჩემი საქმე არ არის, როგორ აპირებენ ამას. მე ვფიქრობ, რაკი პრეზიდენტმა ეს თქვა, ალბათ სურვილი არის და ხალხს დაბრუნების იმედსაც აძლევს. ალბათ კიდევაც ამუშავდება დასაქმების მექანიზმი. თორემ კიდევ რომ ჩამოვიდნენ და ვერ დასაქმდნენ, მერე რა ქან, უკან წავიდნენ? ესეც ხომ არ არის იოლი?

—თქვენ აღნიშნეთ, რომ სამუშაოდ მიდისხართ და არა ემიგრაციაში. მართალია, თქვენ ამ პირობებში მუშაობა არ მოგიწევთ, მაგრამ ეს ხალხიც ხომ ეკონომიკური პრობლემების გამო მიდის, რომ იმუშაონ?

—არ მომიწევს სახლის დალაგება და მოსუცის, ან ბავშვის მოვლა, რადგან აქ ჩემი შვილიშვილებისთვის ვერ მომივლია. 20 და 25 წლის ვაგო არ ვარ და არც შემოძლია ეს. მაგრამ, მეც ნამდვილად ამ პრობლემების გამო მივდივარ. მაქვს საკმარისი ენერჯია და გრძობ, რომ ბოლომდე დახარჯული ვარ ვარ. კიდევ ბევრი სიამოვნება შემოძლია მივანიჭო ჩემს მაყურებელს. ეს სიამოვნება ჩემი ქართველი მაყურებლისთვის მინდოდა მიმენიჭებინა. თორემ მე მქონდა არაჩვეულებრივი შანსი, როცა რუსეთში ლაურეატი გავეხდი. თანაც, ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ქართულად წაკითხული მონოლოგისთვის დამაჯილდოვეს. თვითონვე მითხრეს, ერთი წელი გაცხოვრებთ. შენ არაფერს ქირას არ გადაიხდი. ერთი წლის შემდეგ ბინასაც მოცემით.

—ეს როდის მოხდება?

—ეს იყო დაახლოებით, 17-18 წლის წინ. მე რა თქმა უნდა, არ დავრჩი. ვიფიქრე, რატომ მივანიჭო ეს სიამოვნება სხვა მაყურებელს და არა ქართველს-მეთქი. გულსადილად რომ ვთქვა, მაშინ არც იყო ასეთი ვაჭირვება



და არ მიფიქრია. დღეს კი ვნანობ, რომ არ დავრჩი. რადგან უამრავი პრობლემა მაქვს, როგორც ქალს, როგორც დედას და ბებიას, დას, მეგობრებს და მსახიობს, როგორც ნებისმიერ ჩვენს მოქალაქეს. მინდა ყველას დავეხმარო. მაგრამ საშუალება არ მაქვს. პირველ რიგში კი მინდა ოჯახს: შვილს, რძალს, შვილიშვილებს დავეხმარო. ყველანი ჩემი შვილის ხელფასზე ვართ. მე კი მინდა, რაიმე შევმართო. ამას აქ ვერ ვაკეთებ. ჩემი ერთადერთი ნათელი წერტილი „იუმორინა“ და ისიც ამ ვაზაფულზე არ ჩატარდა, იმის გამო, რომ ფილარმონია რემონტდება. არავინ იცის, როდემდე დაეკეთილი. შემოღობაზე კი მაინც აპირებენ, ალბათ პროფკავშირებში. მაგრამ წელიწადში ერთხელ ჩატარებული 15-20 დღიანი კონცერტებიც ვერ უშველის ჩემს პრობლემებს, რადგან ვალები მაქვს ყველამდე.

სხვა მხრივ, მე მადლობის მეტი რამე თქმის ჯერჯერობა ბადაშვილზე და მაგ პროექტზე, რომელმაც 2000 წლის შემდეგ უფრო მეტად პოპულარული გახსნა. ჩვენი კასეტები საზღვარგარეთაც მოგზაურობს. ვერ წარმოიდგენთ, როგორ უხარიათ, ოჯახიდან რომ უცხვანიან. მერე ერთმანეთს აწერინებენ თურმე და ასე ხელიდან ხელში გადადის.

—ახლა სწორედ ამის თქმა მინდოდა. მეც ჩამიტანია ემიგრანტების თხრობითი თქვენი კასეტები და ისიც უთქვამთ, მთავრობას და ხელისუფლებას, „იუმორინაში“ ვიცნობთ და ქვეყანაში რა სდება, ამა-საც მათი დახმარებით გვეზულობთ. მაგრამ ბოლო დროს ცოტა გაბნეული იუმორი გქონდათ მგონია. ამას ხომ არ უკავშირდება მისი გაჩერება. ამბობენ, ფილარმონიასაც სასტუმროდ გადააკეთებენო. მართალია?

—არა მგონია. ასეთი საუბარი არ მომისმენია. დასასურია რა არის იმაში. ეს უმრობოთ იმაზე, რაც ხალხს აწუხებს.

ეს ყველა ქვეყანაში ნებადართულია. ამას გარდა, ეს ერთადერთი დიდი სა-კონცერტო დარბაზია და არა მგონია დასურონ. ვიცი, რომ არაჩვეულებრივი რემონტი უნდა გაკეთდეს. 2000 წლიდან მოვიდვართ და თუ დასასურია იყო, მანამაც დასურავდნენ. მაგრამ ჯერ მაღ ბადაშვილს ეს არ ეშლება.

—მოსკოვში რა გვეგმები გაქვთ?

—ვიცი, რომ მსოფლიოში რევი-სორები, რომლებსაც ჩემი გამოვლას პოპულარული იუმორისტულ გადაცემაში „ანსლაგა“ ძალიან მოსწონიათ და მომიკითხეს კიდევ: უკვე მოვამზადე ახალი პროგრამა ამ გადაცემისთვის. მერე ახალი თემებიც მოვა. და მიუხედავად იმისა, წითელ ხალხს არ ველოდები, ჩემი ნიჭის იმედი მაქვს. კინოშიც ვგადამიღეს ადრე და ალბათ ეს კავშირები გამომადგება. ქალების ნაკლებობა ამ ქანში რუსეთში იგრძნობა. ამიტომ მე მათთვის ახალი სახეც ვიჭებ. რუსულ საზოგადოებას დღეს ნოსტალგია აქვს საქართველოზე და იმედი, გასაყოფი არაფერი გვექმება. მთავარია, ხელისუფლებამ გვაცალოს და ერთმანეთს არ დაგვატაკოს. შიგადაშიგ საქართველოშიც ჩამოვალ და ჩემს მაყურებელსაც ვასიამოვნებ.

მაგრამ ძალიან ვდარდობ უკვე ვიცი, ფინანსებს არ დამიგებენ და ბევრი პრობლემაც მექნება ალბათ. მაგრამ რა ვქნა. გულწრფელად გეტყვი. ჯერ არ წავსულვარ და ნოსტალგია მაწუხებს. არ მინდა წასვლა, მაგრამ იძულებული ვარ და უნდა წავიდე. რადგან, სანამ სცენაზე დავიკარგო, ეს შანსი არ უნდა დავკარგო და ჩემს ოჯახსაც დავეხმარო.

ალბათ, დასაიმედებელი ინფორმაციაა მათთვის, ვინც ჩემსადიფოლი“ მართლა სამუდამოდ ტოვებდა ქართველ მაყურებელს. რაკი ასე არ არის, წარმატებები ვუსურვოთ ქალბატონ მზიას.

ნიკო მხოიძე

არის ჩვენი ადგილი სამუშაოში?

ემიგრანტის წირილი

ჩვენი გაზუთის აქტიურობა მკითხველმა უკვე იცის, რომ ყოველ ნომერში ემიგრანტების განცდები და თავგადასავლებია აღწერილი რუმბრიკაში „ემიგრანტის წირილი“. ხშირად ეს განცდები გულისშემძვრელი და მტკივნეულია. თუმცა, არ უარყოფთ, რომ წლების წინ ეს განცდა, ვარკვეულწილად, უფრო მძიმე იყო. ისინი, ვინც დიდი ხნის წინ წავიდნენ საქართველოდან უფრო შეგუებულია იქაურ სიტუაციას, რომელშიც ცხოვრობს. ამიტომ ამ კატეგორიის ემიგრანტებს შორის ცოტას თუ ნახავ, რომელიც ნოსტალგიის სენითაა შეპყრობილი. მაგრამ სამშობლოსადმი დამოკიდებულებით გამოწვეული განცდა ისტორიული ემიგრაციის წარმომადგენლებსაც არ განულებიათ. მათ, ვისაც არასოდეს უნახავთ სამშობლო, ან სანატრელ საქართველოში უკვე შეუახნის ასაკში ჩამოვიდნენ. მათი გრძობები ჩვენითვის ძალიან მნიშვნელოვანია. ისინი ხომ საქართველოს დიფერენციული შვილები არიან, მიუხედავად ფიზიკური სიმორისა ქვეყან-

ნასთან. მაგრამ ამკარაა, რომ ისინი სულიერად ყოველთვის აქ არიან, რადგან ქვეყნის სიყვარულის სენით არიან შეპყრობილები. ჩვენი ერთგული ემიგრანტების განცდების მიმართ იმდენად ღრმად, რომ ყოველთვის ვცდილობთ მათ შესახებ რაიმე პატარა ინფორმაცია მაინც შევიტყოთ. რამდენიმე დღის წინ ერთი სეველიანი წერილი ჩამოვარდა ხელში, მე კი ჩავთვალე, რომ არ მქონდა უფლება მისი შინაარსი თქვენთვის ასაგებოქმეცა, რადგან წერილის ავტორიც სწორედ ამას მოითხოვს. ჩვენი მუდმივი მკითხველები მისვლებიან, რომ ეს წერილი განსვავებულია დანარცხებისაგან, რადგან მას კონკრეტული ადრესატი ჰყავს. ამიტომ სრულად გთავაზობთ წერილის შინაარსს.

„ეს წერილი ვინმეს თუ ჩაუარდება ხელში, იმედი გვაქვს, საზოგადოებისთვის ცნობადი გახდება. ეს ბარათი ამერიკაში მოხვედრილი უამრავი ქართველის გამომხატავად ჩათვალეთ. აქ ჩამოსული ხალხის გარკვეულ ნაწილს ვგვგონა, რომ საქართველო ფეხზე დადებოდა. მაგრამ ყველას

იმედის განხორციელების ვადა გაუგრძელდა.

როგორც ვხვდებით, საქართველოში დღეს მოსახლეობის გაკვეთლ ნაწილს თავიდან სავსე კასრი უდევს წინ და პირს იტყვარუნებს, უდიდესი ნაწილი კი შიმშილის ზღვარზეა მისული. ჩვენს ხალხს გაჭირვება და უბედურება არ უკვირს, მაგრამ ის, რაც დღეს ხდება-სამინელებია.

ხალხი იმ მდგომარეობაში მდებარეობს, რომ ქვეყნიდან გასაქცევად გავიხადეს საქმე. ვისაც თუნდაც პროცენტური ვალის აღების საშუალება აქვს, ყველაგარბის, რომ თავის ოჯახს, შვილებსა და ახლობლებს უშველოს, გაჭირვებისა და შიმშილისაგან იხსნას. ქართველი დედა ყოველთვის ოჯახში უფლებთან ერთად იყო, მამა და ბავშვი სამშობლოს საკეთილდღეოდ იბრძოდნენ. დღეს კი ხა სდება? დედა შვილებს არის მოგლუჯილი, ცოლი-ქმარს და ა.შ. ქალები შვილების გვერდით უნდა ვყოფილიყავით და ისინი სამშობლოსთვის სახელოვანადამიანებად აღვეწარდა. მართალია, დღის გული მოსვენებული

არსად იქნება, ჩვენს შვილებს აქედანაც ვაძლევთ მითითებებს და რჩევებს, მაგრამ როდემდე შეიძლება ასე გაგრძელდეს?

საქართველოში რაიმე წინსვლას ვერ ვხედავთ. მეგობრები ერთმანეთს ვეკითხებით-სამშობლოში როდის დავბრუნდებით? ან დღეს რომ დავბრუნდეთ, არის ჩვენი ადგილი ქვეყანაში? ადრე იმისთვის ვისწავლეთ, რომ ქვეყნიდან გასაქცევად დავგდო-მოდა საქმე და უცხო ტომის ხალხის მოჯამაგირებდად სამუშაოს მოვნადიდედნიერებად ჩავეთვალა?

ყველამ კარგად ვიცით, ქართველი სადაც არ უნდა წავიდეს და როგორი ცხოვრებაც არ უნდა ჰქონდეს, სხვის მიწაზე ბედნიერი ვერასდროს იქნება. მას თავისი ქვეყნის ბედ-იღბალი ყოველთვის შეაწუხებს. თანაც ჩვენ ხომ ყველაფერი სამშობლოში დავტოვეთ-შვილები, მეუღლეები, შიმშილები, ახლობლები...

ვიცი, საქართველოში დარჩენილებს როგორ უჭირთ და თავი გაჭირვებით გააქეთ. ვგებულობთ, რომ არის ისეთი შემთხვევები, როცა ბავშვები

და მოსუცები უფულობის გამო ვერ მკურნალობენ, ან დაგვიანებით ხვდებიან ექიმებთან და ავადმყოფობით იღუპებიან. ზოგიერთი განათლებული და ხარისხიანი ადამიანი კი შიმშილით გარდაცვლილი უპოვიათ საკუთარ ბინებში. რამდენი ახალგაზრდაა, რომელიც უმუშევრობით გაბეზრებული, ცუდ გზას დაადგა და გალოთდა, ან ნარკოტიკებს მიეძალა. ზოგი თურმე სიცოცხლეს თვითმკვლელობით ასრულებს. ბევრი რამის ჩამოთვლა შეიძლება, თუმცა რა აზრი აქვს, ყველაფერი ხომ ჩვენზე უკეთ იცით, ბატონო ხელისუფალნი?

ჩვენი, ქართველი ემიგრანტები, აქ ოკეანის გადაღმაც საქართველოს უკეთესი მომავლისთვის ვლოცულობთ. გვინდა, ჩვენს სამშობლოში ვიძიოთ ეს უკეთესი მომავალი და ვცხურს, ეს დღე მალე დადგეს. იქნებ ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტმა გვიპასუხოს-საქართველოდან ლუკმაპურის სამოქონელად უცხოეთში გადასვლელ ქართველებს როდის გადავბრუნებს?

თამარი. ამერიკა.



რელიგია

დღეს, ვუყურებთ რა ჩვენი ქვეყნის ორი-ათასწლოვანი ქრისტიანული ცხოვრების წარსულს...

და გნაოდეთ პატი და ისინი მოკვლეთ დაბრუნებ!

პართა მიერ გაკვალულსა და ღვთისაგან კურთხეულს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მართლმადიდებლური ცხოვრების წესის დანერგვა...

„წმინდა ნინოს მოციქულობით მოფენილმა და დამკვიდრებულმა ქრისტიანობამ გვიხსნა ჩვენ არამც თუ სულიერად, არამედ ხორციელადც...“

ყანას ხსნად და ცხოვრებად, თავისი ძლევა-მოსილი კალთა გადააფარა ჩვენში ჩვენს მამულს...

რკინისა, გაუმძღვარა ჯვარი პატიოსანი და ძელი ჭეშმარიტებისა...

სხვაგვარად წმინდა ილია მართალი ამბობს: „ქრისტეს რჯული ქართველებისათვის მარტო სარწმუნოებით აღსარება კი არ იყო...“

ბაგბასიური ოდისა

ემიგრანტის დღიური

ლონდონის აეროპორტში სამი მეგობარი მივედით. 2002 წლის 19 დეკემბერია. საქართველოში ორწლიანად განმარტების მერე ვბრუნდები...

იცოცხლე, რა გავიგე? - აგერ ამბობდა ერთი ქართველი, შემომჩვილა იმედამ, დღეს თბილისში ვერ დაფრინდებით...

თვითმფრინავში საკმაოდ გულუხვად გვიმასპინძლებდნენ ქერა სტიუარდესები, ყოველი გავლისაგან გვთავაზობდნენ სასმელს...

რომ შეგაყოვნეთო, რა გაეწყობოდა ჩვენც მიყვებით ცხვრებივით უკან და გვერდობდებოდნენ განსაკუთრებული სტუმრის დარბაზში...

ჩოჩქოლის ხმა შემოგვეხმა. ნინო ულვა-შებიან, ჩასუქებულ კაცს უხსნიდა, რომ მის ოთახში დისპეტჩერმა შეიყვანა და შვილი ინვალიდ ჰყავდა...

რდებიდა, ხოლო ინგლისელი პილოტი დროდადრო გვეხმინებოდა, ცდილობდა გავესალისებინეთ, მაგრამ მოთმინება ძაფზე ქანაობდა...

სუთოვარსკვლავიანი სასტუმროს ფოიეში საბოლოო ბოდიშებს გვიხდოდა ავიაკომპანიის წარმომადგენელი და გალიზიანებული ხალხის შეკითხვებს ენის ბორძიკით პასუხობდა...



აქ ამ ჯოჯოხეთში ვერ დავრჩები და სამი ბილეთი უნდა მიშოვოთ - ჯიქურ მივადექი მას...

ნამდვილად აღარ მართავს, როგორ ავბარ-გდით ვაგონებში, საქართველოს საკონსულოს თანამშრომლები გვეხმარებოდნენ...